# სახალხო გაზეთი

№ 999 კვირა, 22 სექტემბერი 1913 წ. № 999

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


როსტომ, ეკატერინე, ნინო, არჩილი, ირაკლი და თამარ ავალიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარი მეუღლის და დანარჩენნი უძვირფასესის დედის

**მარიამ** გიორგის ასულის **ავალიანისას**

გამოსვენება კვირას, 22 სექტემბერს, დილის 10 საათზე (ვარდისუბნის ქუჩა № 10) ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 670

---

სამშაბათს, 24 სექტემბერს, ძვირფასი დის

**თეკლე** მიხეილის ასულის **კოლუბანსკის**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, კალოუბნის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც იუწყებიან **გიორგი მიხეილის ძე, მელანია და ალექსანდრა მიხეილის ასულნი კოლუბანსკები და ნატალია მიხეილის ასული საყვარელიძე.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 639

---

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 3.

კვირას, 22 სექტემბერს, ქართ. დრამ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

## ველური ხვალ,

5 მ. და 6 სურათ., სენკევიჩის რომანიდან გადმ. სობოლშჩიკ-სამარინის მიერ, თარგ. აკაკისა. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, ასათიანი, ძდივანი, ქიქოძე, შოთაძე, ჯავახიშვილი, თოიძე, სალარაძე და სხვ. ბ-ნნი: არადელი-იმნაძელი, გუნია, გომელაური, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მამფორია, ჰასხი, წანშიაშვილი, ურუშაძე, სარაული, ბარველი, ხონელი, ციციშვილი, თარალაშვილი, შალიკაშვილი, და სხვ.

დასაწყ. საღამ. 8 ს. რეჟისორი გ. შალიკაშვილი. ადმინ. ქართ. დრამ. საზოგ.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „კულტურული მკვლელობა“, „ინსტინქტი“, „დედაკაცი და დედა“ და სხ. 1473

---



პირველ-ხარისხოვანი

## დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 22 სექტემბერს, 1913 წ. გაიმართება

**ორი დიდი სადღესასწაულო ეფექტიანი წარმოდგენა**

სრულიად ახალი პროგრამით, მთელი დასის მონაწილეობით. დიდი გასართობი მოსწავლეთათვის და ბავშვებისათვის. ანტრაქტის დროს ბავშვებისათვის უფასოდ ჯდომა ვირებზე და ცხენებზე. დღის წარ. დაიწყება 2-ნახევარ საათ. საღამოს საინტერესო სადღესასწაულო წარმოდგენაშ პირველ-ხარისხოვან არტისტთა მონაწილეობით. უნდა ნახოთ, თუ გინდათ დარწმუნდეთ! მეხუთე გასტროლი საქვეყნოდ ცნობილის, ველოსიპედზე შეუდარებელის მოხიარულის, ვირტუოზის **ჩისტერ დიკისა,** რომელიც შეასრულებს იშვიათსა და გონებისათვის მიუწდომელ ნომრებს. სანახაობათა-სანახაობა! უდიდესი ატრაქციონი! ხელოვნების უკანასკნელი სიტყვა! ყველგან ფურორი! სენსაცია! აღტაცება! ტაშისცემა! ოთხ და ექვს საჯდომიან ველოსიპედზე „ტანდემ“-ზე ჯარჯიში. ჩისტერ დიკი საზოგადოებას აღტაცებაში მოიყვანს! დასასრულ „საზედაშწერო გადახტომა“—სალტო-მორტალი ველოსიპედით, ცირკის თაღში განავარდება დატვირთულ ეტლზე. მოსკოვში აკვარიუმის ბაღში ჩისტერ დიკის გასტროლებს დიდ-ძალი ხალხი ესწრებოდა. დირექცია სთხოვს პატივცემულ ტფილისის საზოგადოებას, რომლის ყურადღება დაიმსახურა, რაც ცირკში მოსიარულე ხალხის რიცხვით აშკარაა, დარწმუნდეს ფენომენალურ ხელოვნების სინამდვილეში! ამ საღამოსვე მონაწილეობს „4 ეშმაკი“ და ყველა პირველ-ხარისხოვანი არტისტები. დაწვრილებით აფიშებში, დღეისთვის კონტრამარკები არ გამოდგება.

638 **დასაწ. საღამ. 8 საათზე** დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

**ანონსი.** ხვალ, დიდი წარმოდგენაა.

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულბ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

---

გამოსულია და იყიდება

**ნ. შიუკაშვილის**

პიესა **„მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

---

დიდძალი საქონლის მოგროვებისა გამო

## ნამდვილი იაფობა

(ფასები გასასყიდ საქონლისა დაკლებულია)

ყველა საქონლისა, რომელიც გასულ სეზონისაგან დაგვრჩა

**ძლიერ იაფად:** სხვა და სხვა საქონლის ნაჭრები და ნარჩენები სეზონისაგან. მოდის სამანუფაქტურო მაღაზიაში.

სავაჭ. ს. **„ძმ. გრიგორიანებისა და კომპ.“**

მიხეილის და კიროჩნი ქუჩ. კუთხე, სახლი მაღერისა, ტელეფონი № 9—14. 1478

---

მოსწიეთ ახალი პაპიროსები

## ნაივა

ამხ. „პომეშა“ ტფილისი

20 ცალი 6 კ 10 ცალ. 3 კაპ. 1497

---

## პ. ს. დოროფეევის

1) მთავარ მაღაზიაში სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა № 2. ტელეფონი 583.
2) იაროსლავის მაღაზიაში მიხეილის ქუჩა, კირკის გვერდით ტელეფონი 838.

მომავალ სეზონისთვის

**„შემოდგომა და ზამთარი“**

მიღებულია სრულებით ახალი საქონელი:

შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, ტრიკო, მაუდი და ტილო, დრაფი ბამბის ქსოვილები, ქალისა და კაცის წინდები და სხვა და სხვა ტრიკოტაჟური შალის ნაწარმოებნი, საცვლები მამაკაცთა და ქალთათვის, სტილიანი სადგამო მატერიები, ტიულის ფარდები, კარისა და ფანჯრის ფარდები, ხალიჩები, ფარდაგები, პატარა ხალები; თბილი საბნები, წამოსასხამები და ცხვირსახოცები; სასუფრე ტილოები, სელის ნაწარმოებნი,

საწოლი ტილოსი, შალისა, რავენდუკებისა და სხვა.

**ფასები შეუდარებლად.**

ქალაქ გარედ ნიმუშები მსურველთ უფასოდ ეგზავნება.

**მაღაზია** საავადმყოფოების და სხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა მოწყობას კისრულობს. 1498.

---

ჭიათურის სახალხო უნივერსიტეტის

## გამგეობა

იწვევს წევრებს საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულია 6 ოქტომბერს, შუადღ. თორმეტ საათზე ადგილობრივ თეატრის დარბაზში.

გამგეობა სთხოვს საზოგადოების წევრებს კრებამდე შემოიტანონ საწევრო ფული გამგეობის წევრთან ისიდორე ხარატიშვილთან.

1481 მდივანი გამგეობისა ის. ვარაზაშვილი.

---

## ჭიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭო

იწვევს ჩვეულებრივ **საზოგადო კრებას**

**კვირას, 22 სექტემბერს,** შუადღის 12 ს., ადგილობრივ **თეატრის დარბაზში.**

**განსახილველი საგნები:**

ა) მოხსენება საბჭოსი, ბ) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, გ) 1912 წ., ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, დ) 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, ე) არჩევა გამგეობის ერთი წევრისა, საბჭოს ორი წევრისა და სარევიზიო კომისიისა. თანახმად წესდებისა, მეორე კრება კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. 2471

---

საზოგადოება **„კახეთი“**-ს გამგეობა

ამით აცხადებს, რომ

სამშაბათს, 22 ოქტომბერს,

მდგომარე 1913 წელს, საზოგადოების სადგომში **(გოგოლის ქუჩ. 63), დილის თერთმეტ საათზე, დანიშნულია**

## საგანგებო კრება.

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) **ინსტრუქცია ღვინის დაფასება მიღებისა,**
2) **წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა**
3) **შიდა ადმინისტრატიულ წესების მოგვარებისა.** 1494

---

## საყურადღებოდ!

ვაჭრობის სამინისტროს მიერ ახლად დამტკიცებული, ტფილისში არსებული შრომის არტელის **„გარიგის“** გამგეობა აუწყებს ყველას, ვისაც სურს ჩაეწეროს წევრად აღნიშნულ არტელში, მობრძანდნენ გამგეობის ბინაზე (ვაგზლის ქ. № 2) დილის 9 ს. 12 საათ. და საღამოს 5—9 საათ. ჩაწერა ყოველ დღე. იქვე მსურველთ შეუძლიანთ გაეცნონ პირობებს, რომელიც წევრად ჩაწერისთვის არის საჭირო. 633

---

**ექიმი** ი. ი. **ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **გასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

---

## სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**ახვლედიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელაბეკი.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოგუსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ, და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**შამაში,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**გრიგორიანი.** ქირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნ. ხ. საათ.

**ასპისოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3-4 ს.

**ატენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**ხანდამოვი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. იოსელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეიხაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძების მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserman“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მოდის სამანუფაქტურო მაღაზიაში ვაჭრით ამხანაგობის
„ს. მ. კირაკოზოვისა და გ. გ. ოგანოვისა“
მიხეილის პროსპექტი, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.
დიდი იაფობისაგან დანარჩენი გაიყიდება
ძლიერ იაფად
23 სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე. პირველ ოქტომბრიდან ყოველდღე მაღაზიას მოუვა ახალ-ახალი სეზონის საქონელი. 1439.

ПОСТАВЩ. ДВОРА Е.И.В. ВЕЛ. КН. НИКОЛАЯ МИХАИЛОВИЧА

ЗАЯВ. ОТД. ПРОМЫШЛ. ФАБРИЧ. ЗНАКЪ. ТАБ. ФАБ. ВЪ ТИФЛИСѢ БОЗАРДЖIАНЦА

## გაფრთხილება!

არა კეთილსინიდისიერ კონკურენციას წვრილ მწარმოებელთა ჩვეულებად აქვს ხოლმე სხვისი ეტიკეტების მითვისება ხალხში თავიანთ ნაწარმოებთა გასავრცელებლად. სწორედ ასეთი საქმე მოსდის ჩვენი ფირმის პაპიროსებს, განსაკუთრებით ძლიერ გავრცელებულ

„სიმპატიასა“ და „დრუჟბას“,

რადგან ჩვენი ეტიკეტების გადაკეთებას დასასრული არ უჩანს, და მით

მყიდველები შეცდომაში შეჰყავთ,

ვსთხოვ მუშტრებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის

ნიშანსა და გვარს:

„სავაჭ. სახ. ნ. ი. ბოზარჯიანცი შვ-ებით“.

ყალბი ეტიკეტების გამავრცელებელნი კანონით სასტიკად დაისჯებიან. 1496

მარიამი, მართა, სოფიო და გიორგი პავლეს ასულნი და ძე ივანოვები, მღ. ნიკიფორე მამამთავრიშვილი შვილებითურთ, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაცვალებას პირველ ოთხისა დაუვიწყარი დედის, მეხუთესი სიდედრის და უკანასკნელის დიდი-დედის

ბესარიონის ასულის
ეკატერინე ივანოვისას

პანაშვიდები საღამოს 7 საათზე (ჭავჭავაძის ქუჩა ლესნოი შესახვევი № 33) გამოსვენება სამშაბათს, 24 სექტემბერს, ვერის წ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკ. წ. ნინოს სასაფლაოზე.

## ვასწავლი

ქართულ „სიმღერა-გალობას“ და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისთვის. მუდმივ გუნდის მიწვევა ეკლესიებში, კონცერტებზე, პირობის გაგება, მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა მიხეილ კავსაძესთან კვირაობით 3—5 საათამდე, ოთხშაბ. და შაბათობ. საღ. 5—7 ს-მდე. ივქალის ქუჩა № 29. ვიღებ და ვასწავლი მუშა-ხალხსაც ვიწვევ მგალობლებს ანჩისხატის საკრებულო ტაძარში, სადაც კვირა უქმეებში მუდმივ გალობს გუნდი. 1448

ფეხსაცმელების მაღაზია
ო. ოგანიანცისა
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
მომავალ სეზონისთვის მივიღეთ დიდი ძალი
ფეხსაცმელი
მამაკაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის.
საქონელი გვაქვს:
ნიუიორკიდან ამერიკელ ფაბრიკის „ვერახ“ ფასონისა, ს.-პეტერბურგის მექანიკურის, ვენის, ვარშავის და სხვა და სხვა. საუკეთესო ფაბრიკებისა. 1462

## აგენტმა
ივანე გრიგოლის ძემ
## ხალათიანმა

ავადმყოფობის შემდეგ განაახლა განცხადებებისა და ხელის-მოწერის მიღება ადგილობრივისა და ქალაქ გარეთულ გამოცემებისთვის. წინანდელივით ეხლაც სინიდისიერად და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას.

მიხეილის პრ. № 119, სახლი ფორიერსა. ტელეფონი 697. 1493

ტფილ. გუბერნიის თავად-აზნაურობის
წინამძღოლი
სთხოვს თავად-აზნაურობას, მობრძანდნენ
22 სექტემბერს, დილის 11 საათზე,
საგანგებო საგუბერნიო
კრებაზე
დეპუტატთა საკრებულოში (ბელინსკის ქ. № 2),
კრება განიხილავს კავკასიის უმაღლესს მთავრობის წინადადებას, რათა თავად-აზნაურობამ განსაზღვრული რიცხვი სტიპენდიანტებისა იყოლიოს იმ მოსამზადებელ პანსიონში, რომლის აშენებაც განზრახულია ტფილისში იმ ბავშვთათვის, რომელნიც კადეტთა კორპუსში შევლენ
თავად-აზნაურობის სტიპენდიანტებად. 2747

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოსხელიბანიძე—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მ. მ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი· აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით 1462

ექიმი
ი. ზ. გძელიშვილი
სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 ს.
19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 588

ექიმი ე. ი. მინასიანცი
იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) პლევ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathien. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 546

ელექტრონის და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. №20. წ. 1028

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 76.

## ტფილისი 22 სექტემბერი

**მუშაობის განახლების მოლოდინში.** როგორც პეტერბურგის გაზეთები გვატყობინებენ, დეპუტატები უკვე იკრიფებიან. საბიუჯეტო კომისიას კრებაც ჰქონია. დეპუტატები ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს იმის შესახებ, თუ რანაირია სულიერი განწყობილება პროვინციებში. არამც თუ ოპოზიციის წევრები, ნაციონალისტების ცნობილი ლიდერი სავენკოც კი აღნიშნავს, რომ მცხოვრებთა სულიერი განწყობილება მარცხნით გადაიხარა. ბრალსა სდებს მთავრობას, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევს სათათბიროს სურვილებს და არა სცდილობს დაპირებულ რეფორმათა განხორციელებას. საინტერესოა ორი ფაქტი, რომელებიც თვით სავენკოს მოჰყავს. როდესაც სახელმწიფო სათათბირომ მიიღო საკანონმდებლო წინადადება სამღვდელოებისთვის ჯამაგირის მომატების შესახებ, მინისტრთა საბჭოს კრებაზე ობერ-პროკურორს საბლერს განუცხადებია, თუ სახელმწიფო სათათბიროს წინადადებას ყურადღებას მიაქცევთ და ანგარიშს გაუწევთ, ამით საკანონმდებლო დაწესებულების პრესტიჟსა და მნიშვნელობას აღადგენთო. ამავე მოსაზრებათა ძალით, სავენკოს სიტყვით, მთავრობას არ მოუსურვებია მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინის გზის გამოსყიდვა. თუ ნაციონალისტების ლიდერიც უკმაყოფილებას აცხადებს, ადვილი წარმოსადგენია, რას უნდა ჰგრძნობდნენ ისინი, რომელთა პრეტენზიები მართალია ძალიან შორს არ მიდის, მაგრამ 17 ოქტომბრის მანიფესტს მაინც ემყარება.

ნაციონალისტები და ოქტომბრისტებიც კი იძულებულნი გაჰხდნენ დაენახათ, რომ უზარ-მაზარი რუსეთი სულ სხვანაირის სურვილებითა სცხოვრობს, სულ სხვანაირ მოღვაწეობას მოითხოვს მთავრობისა და სახალხო წარმომადგენლებისაგან და ამასთანავე ერთად სკეპტიკურად შესცქერის იმათ, რომელთაც დღეს თავიანთი თავი ხალხის სურვილების გამომხატველებად მიაჩნიათ.

ზაფხულის განმავლობაში დეპუტატებს საშუალება ჰქონდათ, პირადად დარწმუნებულიყვნენ, რას მოელის საზოგადოება მათგან, და აკი კიდეც დარწმუნდნენ! დეპუტატები, რა თქმა უნდა, საზოგადოების სულიერ განწყობილების ყრუ მოწმეებად ვერ დარჩებოდნენ. დაიწყო ჩვეულებრივი ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საჭიროა მკვიდრი ცენტრის შექმნა ნაყოფიერ მუშაობის წარმოებისათვის. იმედი ჰქონდათ, რომ მკვიდრი ცენტრი ნაციონალისტებისა და ოქტომბრისტების შეთანხმების შედეგი უნდა ყოფილიყო. ნაციონალისტები წუწუნებენ, საჭიროა პროდუქტიული მუშაობა, თითქოს რეფორმების განხორციელებასაც ლამობენ. ოქტომბრისტები ხომ ერთთავად 17 ოქტომბრის მანიფესტს ემყარებიან და წამ და წამ აგონებენ საზოგადოებას, ჩვენი სახელწოდება არ დაგვივიწყებია, გვახსოვს, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი უნდა განვახორციელოთო. არსებითად ამ ორი პარტიის შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. ნაციონალისტური პარტია პროდუქტია სტოლიპინის პოლიტიკურ მრწამსისა და დღესაც მის იდეალების განხორციელებასა სცდილობს. ოქტომბრისტებიც სტოლიპინს, მის სიცოცხლის დროსაც და ეხლაც, „თავის“ კაცადა სთვლიან და მისი იდეალების მიმდევრებად აცხადებენ თავიანთ თავს. თუ ნაციონალისტებსა და ოქტომბრისტებში დაიბადა გულწრფელი სურვილი დაპირებულ რეფორმათა განხორციელებისა, შეთანხმება ადვილად უნდა მომხდარიყო, მაგრამ საქმეც ის არის, რომ სწორედ ეს გულწრფელი სურვილი არსადა სჩანს. ნაციონალისტების მიერ მიღებული კურსი არავითარ ადგილს არ უტოვებს საკონსტიტუციო ილიუზიებს. ასეთი გატიტვლება ოქტომბრისტებისთვის, როგორც პოლიტიკური პარტიისთვის, რომელსაც დროშაზე 17 ოქტომბრის მანიფესტი უწერია, ცოტა არ იყოს მოუხერხებელია. ნაციონალისტებთან შეთანხმება, რაც უნდა ბევრი დაეთმოთ ამ უკანასკნელთ, პოლიტიკური გატიტვლება იქნებოდა, და ოქტომბრისტებს არც თუ ძალიან უნდათ თავიანთი მახინჯი აგებულების გამოჩენა. მხოლოდ ეს უშლის ხელს შეთანხმებას ჯგუფებს, რომელთა შორისაც ძალიან დიდი ორგანიული კავშირი არსებობს. ოქტომბრისტებს ჯერ კიდევ ჰსურთ შეინარჩუნონ, გარეგნულად მაინც, სახე კონსტიტუციონალიზმისა. მაგრამ ბუნება ოქტომბრისტებისა ნებას არ აძლევს მათ იქ მოძებნონ მოკავშირენი, სადაც ცოტად თუ ბევრად საკონსტიტუციო ტრადიციები დარჩენილა. ოქტომბრისტების მარცხნით სხედან პროგრესისტები, მათ შემდეგ კადეტები. კადეტებთან შეთანხმებაზე ლაპარაკიც კი მეტია, რადგანაც ოქტომბრისტებმა დიდი ხანია შეითვისეს ოფიციალურ რუსეთის ტერმინოლოგია და კადეტებიც კი „შინაურ მტრებად“ გამოაცხადეს. არამც თუ კადეტებს, ოქტომბრისტები პროგრესისტებსაც კი ერიდებიან. მაშ, სადა ჰსურთ იპოვნონ მოკავშირენი თავიანთ „საკონსტიტუციო“ მოქმედებისთვის სახელმწიფო სათათბიროში? ცხადია, ვეღარსად იპოვნიან. ოქტომბრისტებმა ან ნაციონალისტების ლაბორატორიიდან უნდა ისესხონ პოლიტიკური სიბრძნე, ან თავის ბუნების წინააღმდეგ წავიდნენ. ოქტომბრისტებს არც ერთი შეუძლიათ, არც მეორე. ასეთი ორჭოფული მდგომარეობა პირველი ნიშანია პოლიტიკური სიკვდილისა და, მართლაც, ჩვენა ვხედავთ, როგორ იშლება და იხრწნება ოქტომბრისტების არმია.

მოსახერხებელია თუ არა ამისთანა პირობებში ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი სათათბიროს მუშაობის პროგრამად გადაიქცეს? ცხადია, შეუძლებელია. პირველ შემთხვევისათანავე სათათბიროს ხელმძღვანელ პარტიებს დაავიწყდებათ პროვინციაში მიღებული შთაბეჭდილებანი, დაავიწყდებათ რეფორმები და წვრილმან ანგარიშების გასწორებას შეალევენ თავიანთ ძალ-ღონეს. 3 ივნისის კანონის ძალით შეკრებილი სათათბირო სხვანაირი არც შეიძლება იყოს.

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

როგორც ვიცით სინოდმა აკრძალა პირველ სათათბიროს თავმჯდომარის მურომცევის ძეგლზე მისი ბიუსტის დადგმა. ეხლა განსვენებული მურომცევის ერთს ახლობელ მეგობარს უსაუბრნია სინოდის ობერ-პროკურორ საბლერთან, რომელსაც უთქვამს,

„რომ იგი პირადად ვერავითარ დაბრკოლებას ჰხედავს, რათა მურომცევის ძეგლი პირველ გეგმის სახით იქნეს დატოვებული, ე. ი. მისი ბიუსტი დარჩესო. ამასთან საბლერი დაჰპირებია: ოფიციალურად დაგრთავთ ამის ნებასო“.

აი, სწორედ ამასა ჰქვია: „ძაღლი პატრონს ვერა სცნობსო“.

***

გაზეთ „დენში“ ვინმე გორინი ეხება ბინის საკითხს რუსეთში, რომელიც, მისი სიტყვით, ჩვენი დროის ერთს უმთავრეს სოციალურ პრობლემად გადაიქცა..

„უკანასკნელ 10—15 წლის განმავლობაში საოცარის სისწრაფით იზრდება ქალაქების რიცხვი და მასთან ერთად ქალაქების მცხოვრებთა არა-უზრუნველყოფილი მდგომარეობა. მაგრამ ბინის საკითხის მხრივ ქალაქები ვეღარ ასწრებენ მცხოვრებთა რიცხვის ზრდის თან მიყოლას: ცხოვრების გაძვირება კი სრულად მიუდგომლად ხდის ცოტათი მაინც ხეირიან ბინებს მატერიალურის მხრივ გამოურკვეველ მდგომარეობაში მყოფ ელემენტთათვის. ამ გვარად გაჩნდა ჩვენში ბინის ვიწროობა და ბინის უქონლობა; ბინების ჰიგიენის შესახებ ხომ ჩვენში ლაპარაკიც მეტია“...

შემდეგ ავტორს ჩამოთვლილი აქვს ის შედეგები, რომელნიც ნაყოფია ბინის სივიწროვისა. ამ საკითხს დასავლეთს ევროპაში დიდი ხანია სერიოზული ყურადღება მიაქციეს; იქ დიდ როლს თამაშობს საამშენებლო კოოპერატივები.

„გერმანიაში, მაგალითად, ეს კოოპერატივები თანდათან იზრდებიან. 1870 წელს საამშენებლო კოოპერატივების რიცხვი ორს არ აღემატებოდა, 1888 წელს უკვე 28 იყო, 1892 წ.—77, 1901—420 და 1908 წ. კი უკვე—1000-ზე მეტი. ცხადია, ბინის საკითხის დაკმაყოფილების ასეთი ფორმა ძლიერ კარგი გამოდგა, თუ კი ასეთი სისწრაფით გავრცელდა“.

ასეთი კოოპერატივები ორი ჯურისაა: პირველი ტიპისა ცდილობს წევრებს საკუთარი ბინები აუშენოს, მეორენი კი—კარგ ბინებს აწვდიან წევრებს იაფ ფასად. ყოველი წევრი იძულებულია შეიძინოს ამხანაგობის თითო პაი, რომელიც 100—200 მანეთს არ აღემატება და შემდეგ ამ ფულს იხდის თითო-ოროლა მანეთობით თვიურად.

„მაგრამ საზღვარ-გარედ, ასეთ დაწესებულებებს მთავრობაცა და მუნიციპალიტეტებიც დიდს დახმარებას უწევენ“...

ეს ყველაფერი კარგია და გამოსადეგი, მაგრამ რუსეთისათვის აბა რა მისაბაძი მაგალითია დასავლეთი ევროპა, თუნდაც ისეთ საკითხში, როგორიც ბინის სიძვირის საკითხია.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **მხცოვანი მგოსანი აკაკი** ტფილისს ჩამოვიდა და სასტუმრო „ფრანცია“-ში ჩამოხტა.

✦ **წინამძღვრიანთ-კარის სკოლის იუბილეს** გამო ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა: მონაწილეობა მიიღოს იუბილეში მისალოც ადრესის მირთმევით. ადრესის მირთმევა დაევალათ გამგეობის წევრებს ა. ბ. მდივანს და ა. რ. ჯაჯანაშვილს.

✦ დღეს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში **გაიმართება სალიტერატურო დილა ფრიად ფართო პროგრამით.** ქართულ ენის მკვლევარი ბ-ნი კ. დოდაშვილი წაიკითხავს დიდად საყურადღებო ლექციას „მოგზაური და სასახლის მოშაირეები მეთორმეტე საუკუნეში“. ეს ლექცია იმითაა უფრო საყურადღებო, რომ ლექტორი მუსიკის დახმარებით მოასმენს დამსწრეთ თუ როგორ კითხულობდნენ „ვეფხის ტყაოსანს“ XII და XVII საუკუნეებში. სასურველია განსაკუთრებით ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა დაესწრებოდეს ამ მეტად საინტერესო სალიტერატურო დილას.

✦ **ტრამვაის მოსამსახურეებმა** თავის მხრიდან 20 სექტემბერს დელეგატები აირჩიეს ბელგიის უსახელო საზოგადოების რწმუნებულობისთან მოსალაპარაკებლად.

✦ **ვაკეს პროსპექტის** გასაფართოვებლად ქალაქის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს კერძო მემამულეებს მიწები ჩამოართვას.

✦ **პოლიტეხნიკუმი.** ხვალ, 23 სექტემბერს, კრება ექნება საუწყებათაშორისო კომისიის მცირე კომისიას, რომელიც საბოლოოდ გამოსთქვამს თავის აზრს ნავთლუღისა და საბურთალოს მიწების ღირსებათა შესახებ.

✦ **საკოოპერაციო კურსები.** ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო სექციამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა: 1) გამართოს ხოლმე ყოველწლივ ტფილისში საზაფხულო საკოოპერაციო კურსები საკოოპერაციო დაწესებულებათა წარმომადგენელთათვის და 2) გამოსცეს ქართულ ენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხე სახელმძღვანელო წვრილ კრედიტის დაწესებულებებში ანგარიშის და საქმის წარმოებისა.

✦ **ხილისა და ბოსტნეულობის მეორე გამოფენა-ბაზარის** ბიურო 25 სექტემბრიდან მოთავსებულ იქნება საარტისტო საზოგადოების საზაფხულო სადგომში, სადაც გამოფენა-ბაზარში მონაწილეობის მსურველებმა უნდა მიმართონ.

✦ **მეოთხე საობლიგაციო სესხის** (3 მილიონი) ანგარიშში გუშინ ქალაქის გამგეობამ პარიზში ეინარბანკს გაუგზავნა 102,000 მან.

✦ **ბ-ნი კრიშტაფოვიჩი** ქართლს გაემგზავრა. ამის გამო დღეს აღარ მოხდება ჩვეულებრივი დემონსტრაცია ხილის გახმობისა. დემონსტრაცია განახლდება ხვალ, 23 სექტემბრიდან, იმავ წესით, როგორიც წინად იყო.

✦ **ქალაქის სატყეო-საბაღოსნო კომისიის** თავმჯდომარეს მ. ი. სვეშნიკოვს ქალაქის გამგეობამ დაავალა, შეადგინოს ინსტრუქცია, რომლითაც ქალაქის მებაღეები იხელმძღვანელებენ ქუჩებზე ხეების მოჭრისა და გადაჭრის დროს.

✦ **ტფ. საბირჟო კომიტეტს** აზრად აქვს მოიწვიოს ტფილისში მესაქონლეთა კრება ამ წლის ბოლოში. თუ ამ დროს მოსახერხებელი არ იქნება, მაშინ მოიწვიოს 1914 წელს. კრების მიზანია - მოაწესრიგოს ხორცის ფასები.

საბირჟო კომიტეტის პირველი კრება ზაფხულის სეზონის შემდეგ 25 სექტემბერს მოხდება.

✦ **საბირჟო ცნობები**. 21 სექტემბერს პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—84 მან. 60 კაპ., აძლევდნენ—84 მ. 25 კ., ტფ. სათავად-აზნაურო სააღგილ - მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ - 82 მან. 75 კ. აძლევდნენ—81 მან. 65 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მ., აძლევდნენ—78 მ. 15 კ., სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—481 მ. მეორისა—376 მ. და მესამისა – 320 მან.

✦ **ა. ქ. როლლოვი**, ტფ. ბოტანიკურ ბაღის დირექტორი, რომელიც ყირიმისკენ იყო, ტფილისს დაბრუნდა და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა.

✦ **კ. ი. შაშკოვსკი**, მიწად - ომქმედებისა და მიწად-მოწყობის მთავარ სამმართველოს კავკასიის რწმუნებული, ტფილისს 23 სექტემბერს დაბრუნდება.

✦ **სახალხო სახლში**. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, თითო შაური გადაახდევინოს იმას, ვინც სახალხო სახლის ტელეფონით ისარგებლებს. აღებული ფული უნდა გადაიდოს ღამის თავშესაფარების სასარგებლოდ.

✦ მოსკოვს ჩავიდა სინოდის ობერ-პროკურორი საბლერი. **საბლერმა ინახულა ეპ. ტრიფონი და რამდენიმე საათს ესაუბრა.** სატახტო გაზეთების სიტყვით, ამ საუბარს კავშირი აქვს ეპ. ტრიფონის ექსარხოსად დანიშვნასთან. მოსკოვიდან სინოდის ობერ-პროკურორი ლივადიას გაემგზავრა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებაში.** გამგეობამ დაადგინა წიგნებით შემწეობა აღმოუჩინოს ვერისა დ ერთაწმინდის (გორის მაზრა) ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს.

გამგეობამ თვის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, საზოგადოების განყოფილებანი გახსნას ახალციხესა, ტუაპსესა და ვანში.

✦ **საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრების** მომწვევმა კომიტეტმა ბაქოს თევზის მრეწველთა საბჭოს სთხოვა, მონაწილეობა მიიღოს მომავალ კრებაში, აგრეთვე ფული გადასდოს კრების მოსაწვევე ხარჯების ნაწილის დასაფარავად. კრების მოსაწვევი ხარჯი ნავარაუდევია 10,000 მან.

✦ **კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება 24 სექტემბრისთვის არის დანიშნული, საღამოს 8 საათზე. საბჭო განიხილავს საზოგადოების 1912 წლის მოქმედების ანგარიშს სარევიზიო კომისიის დასკვნით.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ორშაბათს, 23 სექტემბრისთვის არის დანიშნული. საბჭოს 16 საქმე აქვს განსახილველი, მათ შორის: 1) გამგეობის მოხსენება მდინარე ვერის მიმართულებისა და ვერის პარკის აუზების მდგომარეობის შესახებ, 2) ცეცხლის დამზღვევ საზოგადოების 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 3) შუამდგომლობა წითელის ჯვრის საზოგადოებისა, რომელიც ნავთლუღში განზრახულ ამბულატორიისთვის დახმარებას თხოულობს და 4) მოხსენება სამშობიარო თავშესაფარის საჭიროებათათვის 1,000 მან. გ დადების შესახებ.

## ქუთაისი.

✦ ქართული გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ და მზრუნველმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრეს სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, რომ პირველი კლასიდან დათხოვნილთ ხან-გაცდასულ მოსწავლეთ ნება მიეცეთ გიმნაზიაში დარჩენისა იმ პირობით, რომ ამ მოსწავლეთათვის საგანგებო კლასი იქნება გახსნილი.

✦ განზრახვაა, ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა ჯამაგირები მოუმატონ; არსებული შტატებით გიმნაზიის მასწავლებელთა ჯამაგირები იმდენად მცირეა, რომ მთავრობის გიმნაზიებში არსებული ჯამაგირების ნახევარზე ცოტა მეტია. რომ ქართული გიმნაზიის პერსონალი არ გაურბოდეს ამ დაწესებულებას, ამ ჟამად მცირე მომატებას უპირობენ თურმე ჯამაგირებს და მერე, როცა ბანკის საქმე გაუმჯობესდება, მთავრობის გიმნაზიების შტატებს გაუსწორებენ.

✦ ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილის მიერ განზრახული სიმფონიური კონცერტის გამართვის დასახმარებლად საადგილ-მამულო ბანკს გადაუდვია ხუთი თუმანი; ამავე მიზნისათვის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ გადასდო 100 მანეთი.

✦ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობამ, თანახმად სამეურნეო სკოლის მზრუნველის შუამდგომლობისა, ამ სკოლის მოსწავლეთა ს. წინამძღვრიანთ—კარში წასასვლელად, ბ-ნი ილია წინამძღვრიშვილის 30 წლის იუბილეზე დასასწრებლად, გადასდო 50 თუმანი. გარდა მოსწავლეებისა სკოლის მხრით წავლენ 29 ენკენისთვისთვის მზრუნველი თ-დ პეტრე წულუკიძე და გამგე სკოლისა ბ-ნი ალ. შარაშიძე.

## სომეხთა ცხოვრება

✦ დაიბეჭდა და იყიდება სომხურს ენაზე „გლეხი კაცის ისტორია“, გამოცემა კ. თავართქილაძისა.

## გორი.

✦ კვირას, 15 სექტემბერს, დიდი სეტყვა მოვიდა. სოფლებიდან მოდის ხმა, რომ სეტყვა იქაც ყოფილა. ამბობენ—ვენახებს დააზარალებსო.

✦ სამი-ოთხი თვე იქნება, გორში ჟურნალ-გაზეთები არ მოიპოვება გასასყიდად. მიზეზი ისაა, რომ აგენტები სწორედ არ იხდიან ფულს და ზოგიერთებზე დღესაც არის დარჩენილი 40—60 მანეთობით. ნუ თუ დღეს მაინც არავინ აღმოჩნდება ისეთი ღვთისნიერი ადამიანი, რომ იკისროს აგენტობა, პირნათლად შეასრულოს თვისი მოვალეობა და ხალხსაც სარგებლობა მოუტანოს და თავის ჯიბეც ასარგებლოს?

✦ კარგა ხანია აქ არც წარმოდგენა, არც კონცერტი, არც რაიმე გონივრული გასართობი არ გამართულა. ამის უმთავრეს მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ შორიდან მოსულნი აქ ვერა ხეირობენ, დიდი ხარჯებისა გამო გასავალი თითქმის მუდამ სჭარბობს შემოსავალს და მსახიობნი ჯიბე-გამოფხეკილნი გარბიან გორიდან. თუ შორიდან მოსულნი გასამტყუნარნი არ არიან, რადგან ჩვენვე ვართ ამის მიზეზი, რასა ჰფიქრობს სახ. უნივერსიტეტის ახალი გამგეობა, რომელმაც ისეთი ზარითა და ზეიმით აუწყა ქვეყანას თვისი ჩადგომა სახ. უნივერსიტეტის სათავეში? რატომ არ ასრულებს თავის დანაპირებს და ხალხს სისტემატიურად არ აწვდის გონივრულ საზრდოს, კარგი შინაარსიანი წარმოდგენებით, ლექციებით, კონცერტებით დ სხვა?..

✦ ამ დღეებში დაიწყებს მოქმედებას ე. ზ. თარხან მოურავის ქალის ჭრა-კერვის სკოლაში საღამოს კურსები.

## ჟურნალისტის დღიური

146.

**სასოფლო არჩევნები.**

მამასახლისისა და სოფლის მოსამართლეების არჩევნები დიდი მოვლენაა ხოლმე სოფლის ცხოვრებაში. რა უნდა იყოს საპოლიციო ფუნქციებით დატვირთული მამასახლისის არჩევნები, მაგრამ რუსეთში, სადაც ხალხს ათასი წლობის განმავლობაში უცხოვრია უუფლებობით, ისეთი ორიგინალური პირობებია დამყარებული, რომ მამასახლისის არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ის, ვინც პირდაპირ თავის ზურგზე განიცდის ამ ადმინისტრატიულ ზედ-გავლენას, გლეხ-კაცობა, ასე გულ-გრილად არ ეკიდება ამ არჩევნებს, როგორც ეს შეიძლება ბევრს შორიდან ეგონოს. ამ დროს სოფელში, რასაკვირველია, ნაკლები მაშტაბით და ცოტა სხვანაირის გარეგნულის გამოხატულებით, ჰხდება იგივე, რაც ყველგანა და ყოველთვისა ჰხდება არჩევნების დროს. აგიტაცია, კანდიდატების შეფასება, პარტიობა, ბლოკები. ერთის სიტყვით, თქვენს თვალ-წინ იშლება ტიპიური სურათი არჩევნებისა. ერთს ასეთს არჩევნებს შემთხვევით დავესწარი. ვიცოდი, რომ სოფლელები წინდაწინვე ემზადებოდნენ არჩევნებისთვის. იმართებოდა წინასწარი მსჯელობა. სხვა და სხვა მხრით აფასებდნენ კანდიდატებს, ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი მომხრე გაეჩინათ თავის კანდიდატისთვის. არჩევნების დღეს უკვე არსებობდა რამდენიმე ჯგუფი, რომელსაც დაახლოვებით ყველაფერი ჰქონდა გამორკვეული, იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, ვისთვის მიეცა ხმა და სხვა. ამ სამზადისს რომ თვალყურს ვადევნებდი, ვრწმუნდებოდი, რომ იგი, მიუხედავად თავის ვიწრო სამოქმედო ასპარეზისა, მაინც ხელს უწყობდა ხალხის გათვითცნობიერების საქმეს. ჩვეულებრივად სოფელში, რამდენადაც გამოცდილება ნებას მაძლევდა მეფიქრა, მამასახლისის არჩევნების დროს უბნების ინტერესი სწყვიტავს ხოლმე საქმეს. ამ ჟამად სულ სხვანაირი სურათი გადაიშალა ჩემს თვალ-წინ. ხალხი სულ სხვანაირ მოთხოვნილებებს უყენებდა მამასახლისს და თვითეულს კანდიდატს მისი საზოგადოებრივი ღირსებულების თვალსაზრისით აფასებდა. რამდენად სასარგებლო იქნება ესა თუ ის კაცი სოფლისთვის, მოახერხებს თუ არა სასოფლო საქმეების გაკეთებას?—აი კითხვები, რომელთა გადაწყვეტაც ამა თუ იმ კანდიდატის ბედსაცა სწყვიტავდა. ასეთს სურათს დიდი ხანია სოფელში არ შევხვედრივარ. „მადლობა ღმერთს, ძლივს განათლებული ხალხიც არ გვიახლოვდება!“—აი რა მითხრა სიტყვა-სიტყვით გლეხმა, როდესაც დაინახა, რომ სოფლის რამდენიმე ინტელიგენტი გულ-მტკივნეულად ეკიდებოდა არჩევნებს. თუ ასეთია მდგომარეობა დღეს, როდესაც სოფლის საზოგადოების საარჩევნო ასპარეზი ასეთი მცირეა და შინაარსის მხრითაც თვით მამასახლისის არჩევნები დიდს არაფერს წარმოადგენს, ადვილი გასაგებია, რა იქნებოდა, საერობო თვითმმართველობა, ან სხვა ამის მსგავსი, უფრო ფართო დაწესებულება რომ მოქმედებდეს საქართველოში?

დაახლოვებით ასეთს ფიქრებში ვიყავი გართული, როდესაც მომრიგებელი შუამავალი არჩევნებს შეუდგა. მან თავისი ქცევით სრულიად გააქარწყლა ის მნიშვნელობაც კი, რომელიც შეიძლებოდა ჰქონოდა არჩევნებს. ასარჩევი იყვნენ მოსამართლენი. დაასახელეს ერთი კანდიდატი. გინდათ თუ არა? ეკითხება მომრიგებელი შუამავალი. ერთი ნაწილი ჰყვირის გვინდაო, მეორე—არაო. არავინ იცის, რამდენი მომხრეა, რამდენი წინააღმდეგი. მომრიგებელი შუამავალი ამ კანდიდატს არჩეულად სთვლის. ესევე აირჩიეს მეორე. ჯერი მიდგა მესამეზე. ვიღაც ჩასჩურჩულებს შუამავალს, ესა და ეს კანდიდატი კარგიაო.

„გინდათ“?—ეკითხება შუამავალი. „არ გვინდა“,—იღრიალა ხალხმა. „ეგრე არჩევნები შეუძლებელია მოჰხდეს“,—ამბობს შუამავალი!—„ყვირილით არაფერი გაკეთდება; ვინც წინააღმდეგია, აქეთ გადმოდით“. ხალხი ზღვასავით გაიწია.

თქვენც მიხვდებით, რომ აქ არავითარი სისტემა არ არის დაცული. ამასთანავე ერთად ნათლადა სჩანს სურვილი, მოახვიონ თავზე ისეთი კანდიდატი, რომელიც შემთხვევით პირველად ხელს მოჰხვდა. ხალხის სურვილების წინ დაუდგა დაუდევრობა მოსულისა, რომელიც მხოლოდ არჩევნების ფორმალური პროცედურის შესრულებით კმაყოფილდება. მას არც აინტერესებს და არც ესმის, რა ტკივილები აწუხებს იმ ჟამს ხალხს; აზრადაც არ მოსდის, რომ ამნაირის ქცევით ხალხს საშუალება ეკარგება თავისუფლად გამოჰხატოს თავისი ნების-ყოფა და არჩევნების პროცესის წარმოებით ავარჯიშოს ეს ნების-ყოფა. ალონდ კი დაცული იქმნას ფორმალურად კანონი, და სხვას არას დაგიდევენ. ოქმი შედგება და ყველაფერი „თავისი“ წესით წავა.

ყველა ზემოდ ნათქვამიდან ცხადი უნდა გახდეს მკითხველისთვის, რა მნიშვნელობა აქვს მომრიგებელ შუამავალთა ტაქტსა და უნარს. თუ მათ საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისითაც შეხედეს თავის მოვალეობას და თავისი თავი არ წარმოიდგინეს ბოგდიხანებად, რომელთაც არაფრად მიაჩნია ის „ბრბო“, რომელსაც არჩევნებზე იწვევს, მაშინ სასოფლო არჩევნებსაც შეუძლიანთ ცოტაოდენი სარგებლობა მოუტანონ ხალხს.

მაგრამ ვაი რომ ყველა შუამავალს ასე არ ესმის თავისი მოვალეობა?

**შინაური.**

## უგანათლ. თავადის უჩა დადიანის საქმე*)

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

მკვლელობის ამბავი ჩვენს გაზეთში თავის დროზე დაწვრილებით იყო აწერილი. მოკლედ მაინც მოვაგონებთ მკითხველებს ამ ამბავს ისე, როგორც იგი საბრალმდებლო ოქმშია აღნიშნული.

თავადი ალექსანდრე დადიშქელიანი მოჰკლეს ქუთაისში 8 იანვარს 1910 წელს. წინა დღეს, 7 იანვარს, თავადი ალექსანდრე ოზურგეთიდან, სადაც იგი მსახურებდა, ქუთაისს ჩავიდა სამ იანვარს გარდაცვლილ ძმის თათარხან დადიშქელიანის განსვენებაზე დასასწრებლად. ამ ხანებში მეუღლე ალექსანდრესი, ბარბარე, საავადმყოფოში იწვა და სწორედ 8 იანვარს აპირებდა გამოწერას. ამ მიზეზით თავადი ალექსანდრე, 8 იანვარს, საათის თერთმეტზე, საავადმყოფოში წავიდა, თან ახლდნენ ასული ეკატერინე და ბიძაშვილი, კნეინა ა. ერისთავისა. როდესაც საავადმყოფოს მიუახლოვდნენ, უეცრად გაისმა რევოლვერის ხმა და მძიმედ დაჭრილი ალექსანდრე იქვე დაეცა. დაჭრილი საავადმყოფოში გადაასვენეს, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ იგი გარდაიცვალა. საბრალმდებლო ოქმით, მკვლელი არავის დაუნახავს, გარდა კნ. ერისთავისას, რომელსაც რევოლვერის ხმის შემდეგ მიუხედნია უკან და თვალი მოუკრავს ერთი კაცისათვის, რომელსაც რევოლვერი სჭერია ხელში.

ამ მკვლელობამ ქუთაისში დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია. პირველად ხმა გავარდა—თავადი მოჰკლა ყაჩაღმა ვასილ კიკავამაო. მალე მეორე ხმაც გავრცელდა. ამბობდნენ—მკვლელობა მოაწყო განსვენებულის მეუღლემ კნ. ბარბარემ, რომელსაც მახლობელი კავშირი ჰქონდა უგან. თავად უჩა დადიანთანაო. პოლიცია შეუდგა მკვლელების ძებნას და საქმის კვლევა-ძიებას. მალე პოლიციამ შეიპყრო ორი კაცი—კახიძე და ცინცაძე, რომელნიც, როგორც საბრალმდებლო ოქმი გადმოგვცემს, გამოტეხილან მკვლელობაში დ უთქვამთ—დადიშქელიანი ჩვენ მოვკალით თავ. უჩა დადიანის შთაგონებითაო. კახიძეს რევოლვერიც კი წარუდგენია—ამით მოვკალი დადიშქელიანიო.

გამოძიების დროს გამორკვეულა, რომ ურთიერთობა თავ. ალექსანდრე დადიშქელიანისა და უჩა დადიანს შორის გამწვავებული ყოფილა. ერთ საღამოს ვახშამზე შეტაკებაც კი მოსვლიათ, მაგრამ გაუშველებიათ. ამავე ხანებში, როგორც საბრალმდებლო ოქმი გადმოგვცემს, თავად დადიშქელიანს ამბავი მისვლია—დადიანი კაცებს დაეძებს შენს მოსაკლავადაო. ამის შემდეგ დადიშქელიანს ყოველთვის ახლდა ორი მცველი.

1909 წელს შემოდგომაზე სახელმწიფო ქონებათა გამგეობის მოხელესთან ს. კობახიძესთან მისულა ვიღაც ს. ლომიძე და გამოუკითხნია თავ. ალ. დადიშქელიანის შესახებ. როდესაც კობახიძეს—დადიშქელიანი კარგ კაცად დაუსახავს, ლომიძეს უთქვამს, გააფრთხილეთ, რადგან მოკვლას უპირებენო.

შემდეგ გამორკვეულა, რომ თავ. დადიშქელიანს ორი უსახელო წერილი მიუღია. ვიღაც უცნობიატყობინებდა - მოკვლას გიპირებენო და აგონებდა—ამ დღეებში ოზურგეთს მოვალ და ყველაფერს დაწვრილებით გაცნობებო.

მკვლელობის შემდეგ პოლიციას შეუპყრია ცინცაძე. ამ ცინცაძის ძმა 1908 წელს ბათომში ჩამოუხრჩვიათ ექიმ ტრიანტოფილიდის მოკვლის გამო. როდესაც ცინცაძე კნ. ა. ერისთავისათვის უჩვენებიათ, ამ უკანასკნელს უთქვამს—სწორედ ეს კაცია მკვლელობის დღეს რევოლვერით ხელში რომ დავინახეო. ცინცაძისავე აღმოჩენილა ნაბადი, რომელიც მკვლელობის ადგილას უპოვიათ.

ცინცაძე საპყრობილეში მომკვდარა, ხოლო ვასილ კიკავა პოლიციელებს მოუკლავთ იმ დროს, როდესაც გაქცევა დაუპირებია.

ამ საქმის გამო შეიპყრეს ალშიბაია, ბობოხიძე, კახიძე, ბაკურია და ზაქარაია. ამათ აბრალებდნენ მკვლელობას, ხოლო მკვლელობის მოწყობას თ. უჩა დადიანსა და კნ. ბარბარეს, რომელთაც, საბრალმდებლო ოქმით, უნდოდათ თავიდან მოეშორებინათ თავ. ალ. დადიშქელიანი.

საქმე პირველად გაირჩა 1912 წ. 12 დეკემბერს კავკავის ოლქის სასამართლოში. სასამართლომ გაამართლა ორი ბრალდებული კნ. ბარ. დადიშქელიანისა და ზაქარაია, ხოლო დანარჩენთ კატორგა გადაუწყვიტა: დადიანს—20 წლით, ალშიბაიას, კახიძეს, ბაკურიას და ბობოხიძეს—10-დან 15 წლამდე.

ამ განაჩენზე სააპელაციო საჩივარი გადაიტანეს როგორც ბრალმდებელმა, ისე ბრალდებულებმა. მას შემდეგ პალატაში საქმე ხუთჯერ დაინიშნა, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შესდგა.

აი მოკლედ საქმის ვითარებას საბრალმდებლო ოქმით.

—

18 სექტემბერს საღამოთი პალატის სხდომა განახლდა რვა საათზე და დასრულდა ღამის 12 საათზე. მთელი ეს საღამო მოანდომეს საბრალმდებლო ოქმის, სხვა და სხვა შუამდგომლობის და სხვა ქაღალდების კითხვას.

მეორე დღეს, 19-ს, სხდომა განახლდა დილის 10½ საათზე. სასამართლოს წარუდგა ოთხი ახალი მოწმე: თავ. ოთარ დადიშქელიანი, თავ. ალექსანდრე ერისთავი, ძმა კნ. ბარბ. დადიშქელიანისა, ფიჩხაძე და კირილოვი. დამცველებმა მოითხოვეს, რომ მოწმეს და ამავე დროს სამოქალაქო მოდავეს თავ. ოთარ დადიშქელიანს ნება არ მიეცეს დარბაზში დარჩენისა, მაგრამ პალატამ არ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა. შემდეგ დაათვალიერეს ახლად მოსული მოწმენი და შეუდგნენ სააპელაციო საჩივრების კითხვას.



## სოფ. ავლევის სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო სასწავლებელი

ჩვენი გაზეთის მკითხველები დღევანდელ დამატებაში ნახვენ სურათებს სოფლის ახალგაზრდობისას, რომელიც მშვენიერად მუშაობენ სხვა და სხვა სახელოსნოში. აქვე ნახვენ სოფლელ ბიჭებისაგან შემდგარს მემუსიკეთა გუნდს. ეს ბიჭები მოწაფეებია სოფ. ავლევის სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო სასწავლებლისა. სასწავლებელი დაარსდა და სული უდგია თავ. კონსტანტინე ამირეჯიბის მეოხებით; ყველაფერი ეს შექმნა ერთი ადამიანის ენერგიამ და გამრჯელობამ. ჩვენი სოფლის ცხოვრებაში ეს პირველი მაგალითია და ფრიად დიდ-მნიშვნელოვანიც. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ეს სკოლა დაარსა თავ. კონსტანტინე ამირეჯიბმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაყოფი დიდია. წინად თუ აქაურმა სოფლელებმა არც კი იცოდნენ, რა იყო ელექტრონი, მანქანები, მუსიკა, ეხლა ისინი სიამოვნებით სარგებლობენ ყველა ამით. რადგანაც სასწავლებელი თან და თან ფართოვდება, ამიტომ თავ. კ. ამირეჯიბს თან და თან შეაქვს იქ ახალი და უცნობი: მან დაარსა საელექტრონო სადგური და ელექტრონის წისქვილი. ორივე ალაგას მუშაობას სკოლის შეგირდები ეწევიან. ისინივე მუშაობენ აგრეთვე ნავთის მოტორზე.

სკოლაში რამდენიმე განყოფილებაა; თავ. ამირეჯიბს თავის ხარჯით მოწყობილი აქვს სახელოსნოები: სამჭედლო-საზეინკლო და სადურგლო; ამ განყოფილებებში მოწაფეები სწავლობენ და მუშაობენ საგანგებო ინსტრუქტორ-სპეციალისტების ხელმძღვანელობით. სახელოსნოებში სულ 20-მდე შეგირდი მუშაობს. მაგრამ განა მარტო ამით ალინუსხება სასწავლებლის პროგრამა. თავ. კ. ამირეჯიბმა კარგად იცის, თუ რა მომავალი აქვს სოფლებისათვის ახალ მეურნეობას. ამიტომ იგი გამუდმებით იმის ცდაშია, რომ შეიტანოს ხალხში საუკეთესო, რაციონალური მეურნეობა. მისი სკოლის მოწაფეები პრაქტიკულად ეცნობიან სახელოსნოებში გაუმჯობესებულ სამეურნეო მანქა-იარაღებს და, რასაკვირველია, საქმით რწმუნდებიან, თუ რა დიდი განსხვავებაა მათსა და ჩვენებურს ადამის დროინდელ იარაღთა შორის.

თავ. კ. ამირეჯიბი არ მორიდებია ხარჯს და შეუძენია ოცამდე ლითონის საკრავი, შეუდგენია ორკესტრი და თვითვე წრთვნის ბავშვებს.

ამ სკოლამ უკვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება და ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება ერთდროულ დახმარებას უწევს მას ყოველ წელს.

**ს—თ.**

## † ნიკოლოზ ვასილის ძე ოკუჯავა

18-ს სექტემბერს, დიდუბეში, გულის სიდამბლით გარდაიცვალა ნიკოლოზ ვასილის ძე ოკუჯავა. განსვენებული ფრიად სიმპატიური ადამიანი იყო. უბრალო ხელოსანი, რომელიც აუტანელი შრომით არჩენდა თავის წვრილ ცოლ-შვილს, გულს არ იტეხდა და ბევრს ადგილობრივ საზოგადო დაწესებულებებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ტკბილი მოლაპარაკე და ამასთანავე შეურყეველი, ერთხელ დასახული მიზნის განხორციელებაში, ნიკოლოზი პირველსავე შეხვედრაზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანზე. აზრი დიდუბეში ბიბლიოთეკის დაარსებისა პირველად მას დაებადა. ის, სხვებთან ერთად, დიდის გულმოდგინეობით შეუდგა ამ აზრის განხორციელებას და ბოლოს, ბევრი დაბრკოლების შემდეგ, შრომა მისი გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამ დღიდან ბიბლიოთეკა მისთვის გადაიქცა მეორე ოჯახად. ნიკოლოზი თითქმის ყოველ დღე იქ ტრიალებდა: ქუჩაში ტყვილა მოხეტიალეთ იჭერდა, ბიბლიოთეკაში მიჰყავდა და წიგნებსა და გაზეთებს აკითხებდა.

მისივე მეცადინეობით დიდუბეში დაარსდა საღამოს კურსები.

სადაც კი მისწვდებოდა, არსად არ აკლებდა თავის მადლიანს ხელს.

მშვიდობით, პატიოსანი, უანგარო მუშაკო! ნამდვილი ადამიანი იყავი, რადგანაც სოფელში მყოფმა, სოფელსაც არგე!

**ნ. ირემაძე.**

## მუშათა ცხოვრება

✦ **მანჩესტერი.** ქაღალდის ქარხნების პატრონების შეერთებულ კავშირის კომიტეტმა გადაწყვიტა: დაჰკეტონ ფაბრიკები და შვიდ ოქტომბერს მუშებს ანგარიში გაუსწორონ, ვიდრე ბოლტონში ბიხავის ფაბრიკის მუშები გაფიცვას არ მოსპობენ. კავშირში შედის 200 ფირმა, კაპიტალი უდრის 50 მილიონ გირვანქას და მუშათა რიცხვი ასი ათასამდეა. კომიტეტის ეს დადგენილება უნდა დაამტკიცოს ფაბრიკების მეპატრონეთა კრებამ, რომელიც მანჩესტერში 27 ოქტომბერს არის მოწვეული.

✦ **მოსკოვი.** ტრამვაის მუშები გაიფიცნენ. ქალაქის გამგეობამ მოწოდებით მიმართა მუშებს, მუშაობას შეუდგნენ, რადგან ქალაქის გამგეობა უძლურია მთავრობასთან რამე გაარიგოს დატუსაღებულ მუშების გასანთავისუფლებლად, ვიდრე მუშაობა არ განახლდება. მუშების მიერ თავიანთ მოთხოვნილებათა გაფიცვით ასრულების მოთხოვნა, სისხლის სამართლის ძალით ისჯება, ამბობს ქალაქის გამგეობა თავის მოწოდებაში. მუშებმა პასუხი არ გასცეს. ტრამვაის მუშების გარდა გაიფიცნენ ტრამვაის ელექტრონის სადგურის მუშები და მუშები ორთქლის გზისა, რომელიც პეტროვო-რაზუმოვსკამდე მიდის. მუშები მოითხოვენ 50% ჯამაგირის მომატებას, დასვენებას, საჩუქრებს, ბინის ფულს, დღესასწაულებში ჯამაგირის მომატებას და დამატებითი გასამრჯელოისას. მოთხოვნილების მიხედვით მუშების ჯამაგირი ორ წილად გადიდდება.

✦ სამრეწველოს 500 მუშას, რომელთაც 17 სექტემბრამდე მუშაობა არ დაიწყეს, გამოუცხადეს, ანგარიში მიიღეთო.

## თეატრი და ხელოვნება

**Quo vadis ქართულ სცენაზე** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქნება ჰენრიკ სენკევიჩის დიდებული რომანიდან „Quo vadis-დან გადმოკეთებული ისტორიული დრამა ქრისტიანობის პირველ დროიდან „ვიდრე ხვალ, უფალო“? რომელიც ქართულად გადმოთარგმნილია ჩვენი მხცოვანი მგოსნის აკაკის მიერ. წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობს ქართულ დასის ყველა საუკეთესო მსახიობი, ხოლო მთავარ როლებს შეასრულებენ ბ-ნი მესხი, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, შალიკაშვილი, იმნაელი, მდივანისა და ქიქოძის ასულნი, გუნია და სხვები.

პიესას სდგამს ვ. შალიკაშვილი. ადგილების ფასები ჩვეულებრივია, ესე იგი, ორი აბაზიდან 3 მანეთამდე პარტერში. სამი შაურიდან ექვს შაურამდე გალერიაში.

**ავლაბრის სახალხო თეატრი.** დღეს, 22 სექტემბერს, ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე იწყებს საზამთრო სეზონს. წარმოდგენილი იქნება „სამხედრო ბანაკში", რომელშიაც მონაწილეობას იღებენ, როგორც ადგილობრივი სცენის მოყვარენი, აგრეთვე ამავე წრის რეჟისორი ი. ივანიძე, ადგილების ფასები ხელმისაწდომია—4 კაპ. 50 კაპეიკამდე. წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე. წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება აღუთქვამს აგრეთვე ივერიის მომღერალთა გუნდს, რომელსაც ხელმძღვანელობს ბ. ვ. მათურელი.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**20 სექტემბერი.**

**უცხოეთი.**

**სტამბოლი.** „ჰამიდიე"-ს ყოფილი უფროსი რეუფ-ბეი ევროპაში გაემგზავრა. იტალიაში რეუფ-ბეი ჩაიბარებს კრეისერს, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ იტალიის გემების საამშენებლოს გააკეთებინა. ომის დროს იტალიის მთავრობამ კრეისერი დაიჭირა. რადგან ოსმალეთის ფლოტის საარტილერიო ნაწილის გადაკეთებაა განზრახული, რეუფ-ბეი დაათვალიერებს საფრანგეთის საარტილერიო ნაწილს.

სამხედრო გუბერნატორმა რამდენიმე ოფიცრის დატუსაღება ბრძანა. ეჭვი აქვთ, ამ ოფიცრებს სამხედრო ლიგის საზღვარგარეთ გაქცეულ წევრებთან აქვთ კავშირიო.

ომის დროს დარდანელში მყოფი სამხედრო გემები, ეხლა სტამბოლშია თავმოყრილი.

გენერალი სავოვი და ბულგარეთის დანარჩენი დელეგატები ავსტრია-უნგრეთის საელჩოში საუზმეზე მიიწვიეს.

**ბელგრადი.** ოფიციალურის ცნობით, სერბიელების მიერ უკუქცეულმა ალბანელებმა, აუწერელი სისასტიკე და მხეცობა ჩაიდინეს: მხეცურად ჰკლავდნენ ალბანელებს, ოსმალებსა და უმწეოდ დარჩენილ ქრისტიანებს, რომელნიც მათ არ შეუერთდათ.

სერბიის ჯარმა ალბანელებს სამხრეთისკენ დაახევინა. სერბიის ჯარი ალბანეთში სტრატეგიული პოზიციების დაჭერას აპირებს.

დიდ სახელმწიფოთა სურვილის თანახმად დაცლილი ადგილები, ეხლა ბულგარელების კომიტეტების რაზმებმა დაიჭირეს.

**ვენა.** პაშიჩმა ინახულა ბერტჰოლდი და მასთან ისაუზმა.

გაზეთების აზრით, სამხედრო უწყების სურვილი ჯარის რაოდენობის 400 ათასით გადიდების შესახებ, შეიძლება მოხერხდეს, თუ პირობები ჯარის-კაცად მიღებისა: სიმაღლისა, თვალისა და სმენის თაობაზე შეცვლილ იქნება: ჯარში ჩარიცხვისთვის სავალდებულო ნორმა შემცირდება. ახალი კანონით, მშვიდობიანობის დროს ჯარის რიცხვი 600 ათასი კაცით განისაზღვრება.

**ბერლინი.** ბაღდადის რკინის გზა ოქტომბრის შუა რიცხვებში გაიხსნება.

ბერლინის უნივერსიტეტი აცხადებს, უცხოელთა უფლებების შეკვეცა მხოლოდ რუსის სტუდენტებს შეეხება, რომელთაც ზამთრის სეზონში უნივერსიტეტში არ მიიღებენ. უცხოელთა შორის დიდ უკმაყოფილებას იწვევს სახალხო განათლების მინისტრის განკარგულება, უცხოელთა უნივერსიტეტში მიღებას რომ ეხება. „ფოსიშე ცაიტუნგი" ამბობს: გერმანიის უნივერსიტეტში მყოფ რუს სტუდენტთა რიცხვი ყველა უცხოელ სახელმწიფოს სტუდენტების რიცხს უდრის. სამინისტროს ღონისძიება თავის დაცვაა და არა პოლიტიკური ჟანიანობით გამოწვეული ნაბიჯი.

**კაირო.** ქედივის ბრძანებით საკანონმდებლო პალატის არჩევნები 26 ოქტომბრისთვის დაინიშნა.

**ურგა.** რუსეთის დიპლომატიურ აგენტს მილერს ხუტუხტას მიერ თავადობა ებოძა.

**ტოკიო.** ხუთთა სინდიკატის პირობების შეცვლის გამო, იაპონელი კაპიტალისტები ჩინეთის სესხის გასანაღდებლად ახალ სინდიკატს აარსებენ, რომელშიაც ფრანგი, ბელგიელი და ინგლისელი ბანკირები მიიღებენ მონაწილეობას.

**ბეირუთი.** მთავრობამ განაახლა იერუსალიმ-იაფის რკინის გზის ფრანგების კონცესის მოქმედება და ნება დართო იაფას ნავთსადგურის გადაკეთებისა. ბაღდადის გზაზე აფეთქდა გვირაბი, რომლის დროსაც 200 მუშა მოკვდა.

**იანინა.** ალბანეთში სრული ანარქიაა. თითოეული ბეი თავის ოლქში სამეფოს აარსებს. ქრისტიანები სასტიკად იდევნებიან. სტარევის სერბიის ჯარის მიერ ევაკუაციის შემდეგ ალბანელთა და ოსმალთა რაზმებმა დაიჭირეს გრადიცა და იქ თავისი მთავრობა დანიშნეს ალბანეთის სამეფოს სახელით.

**ვენა.** სეიმის მიერ საეროზო გამგეობაში დეპუტატ კულჩაკის არჩევამ, რომელიც სოციალ-დემოკრატი დეპუტატის შუმაერის მკვლელის ძმაა, დიდი უთანხმოება გამოიწვია ქრისტიან სოციალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. სოციალ-დემოკრატები თავიანთ სკამებიდან ყვიროდნენ: „ეს პრემიაა მკვლელობისთვის"-ო.

**თეირანი.** დასრულდა პრინც სალარ-უდ-დოულეს საქმე. მთავრობა აძლევს ათი ათას თუმანს ყოველ წლიურ პენსიად. პენსია ყოველ თვეში მიეცემა. ამ დღეებში პრინცი რუსეთის გზით შვეიცარიაში მიდის. სალარის ვალს, რომელიც რუსის ბანკისაგან აქვს აღებული პრინცს, ერთი თეირანელი ბანკირი გადაიხდის; სამაგიეროდ ბანკირი პრინცის მამულებს დაიგირავებს. პრინცს პენსია წაერთმევა, თუ თავის ნებით დაბრუნდა სპარსეთში.

**რუსეთი.**

**სევასტოპოლი.** იალტიდან ჩამოვიდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მატარებლით საზღვარ-გარედ გაემგზავრა.

**პოლტავა.** გლეხ კოტისთვის უმართებულო სასჯელის მისჯისთვის ლუბნის ოლქის სასამართლო სამართალში მისცეს. სამოსამართლო პალატამ დომბროვსკის სასტიკი შენიშნვა გამოუცხადა, დანარჩენი კი მანიფესტის ძალით გაანთავისუფლა.

**კიევი.** ქალაქის მოღვაწეთა უკანასკნელ კრებაზე დეპუტატმა ნოვიკოვმა კრებას მადლობა გადაუხადა შემდეგი კრების მოსკოვში მოწვევის თაობაზე რეზოლუციისთვის და შეეხო რუსეთის უფლებრივ მდგომარეობას. პოლიციის წარმომადგენელმა შეაჩერა ორატორი და გააფრთხილა. შემდეგ გუჩკოვმა ამგვარი რეზოლუცია გამოაცხადა:

ა) სწრაფი და სრული განხორციელება კრების დადგენილებათა და საქალაქო დებულებათა ძირიანად შეცვლა, ერთად-ერთი საშუალებაა ქალაქის ცხოვრებისა და ქალაქის ფინანსების გაუმჯობესობისთვის;

ბ) ამ პროგრამის ცხოვრებაში გატარებას სერიოზულად ხელს უშლის დღევანდელი პოლიტიკური პირობები, საკანონმდებლო მუშაობის სრული შეჩერება, მართვა-გამგეობის სრული უწესრიგობა და მთავრობის ქალაქებთან დამოკიდებულება;

გ) 17 ოქტომბრის მანიფესტის საფუძველთა განხორციელების დაგვიანება და საჭირო რეფორმების განუხორციელება ქვეყანას საშინელ უბედურებას უქადისო.

ამ რეზოლუციის წაკითხვის დროს პოლიციის წარმომადგენელმა ორჯერ პროტესტი განაცხადა, ხოლო მესამეჯერ კრება დახურა.

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოდ დასტოვა დალმატოვის და გეისმარის საკასაციო საჩივარი.

რედაქტორი **ა. ჭუმბაძე.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**


**გონორრეის (სუსუნაკის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:**
**„SALO—პიჩილონ".**
სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ. **აგრეთვე კარგად მოქმედებს შეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.**
დეპო: Петербургъ, разъѣзжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების სავაჭროში.
Метцль 22238. 1038







1078

**დაიწყო ბეჭდვა და მიიღება ხელის მოწერა შოთა რუსთველის**
# „ვეფხის ტყაოსანზე"
ეს წიგნი იქნება მე 21-ე გამოცემა იუსტინე აბულაძის რედაქტორობით. წიგნს, წინასიტყვაობის სახით, თავში დაერთვის ვრცელი გამოკვლევა და ბოლოში ვრცელივე ლექსიკონი. ტექსტი შემოწმებული იქნება საუკეთესო ხელნაწერებზე და დართული ექნება საჭირო ვარიანტებიც. რედაქცია ეცდება წიგნმა დააკმაყოფილოს, როგორც მეცნიერული ინტერესი, ისე პრაქტიკული საჭიროებაც და მიაწოდოს საზოგადოებასა და სკოლებს საუკეთესო სახელმძღვანელო, ჩვენის სათაყვანებელი მგოსნის შესასწავლად.
წიგნი იბეჭდება ორ-ნაირად: 1) ჩვეულებრივ ქაღალდზე უყდოდ და ეღირება 1 მან. და 2) ძვირფასს ქაღალდზე ძვირფასი ყდით—2 მანეთად.
ვინც კეთილ ინებებს და 10 კვიტანციას გაგვიყიდის, იმას ერთი წიგნი, კარგს ქაღალდზე, ძვირფასი ყდით, საჩუქრად მიერთმევა.
იმ დაწესებულებათა და კერძო პირთაც, ვინც მოისურვებს კომისიონერობას, და 10-ზე მეტს გაგვისაღებს, მას მიეცემა მანეთზე 15 კაპ.
ხელის მოწერა გაგრძელდება 25 ოქტომბრამდე, წიგნები დაურიგდება აგენტებს ხელის მომწერლებისათვის დასარიგებლად 1 იანვრისთვის.
ამასთანავე საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ წიგნი იბეჭდება განსაზღვრული რიცხვით და თუ გადარჩა ხელის მოწერის შემდეგ თავისუფალ ეგზემპლიართა რიცხვი, იმ შემთხვევაში მანეთიანს მიემატება **ათი შაური** და ორ მანეთიანს **ერთი მანეთი.**
მისამართი: Тифлисъ Авлабаръ, Кабгеровская № 29. Ю. Абуладзе 1495

**ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება**
**შემდეგი წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები.**

| | |
|---|---|
| ბატონიშვილი დავით. მასალები საქართველოს ისტორიისათვის | 1 მ. — |
| ბაქრაძე დიმ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე და ქართვ. ტომის დასაწყისზე | 15 კ |
| — საქართველოს ისტორია | 1 მ. — |
| გროსსე, საქ. ისტორია I | 70 ,, |
| — ,, ,, II | 70 ,, |
| ბარნაშვილი, საქ. ისტორ. რვ. I | 30 ,, |
| ,, ,, ,, II | 30 ,, |
| გორგაძე ს. ბაგრატის ტაძარი | 10 ,, |
| ე. კ. წმ. დავით აღმაშენებელი მეფე ქართველთა | 5 ,, |
| ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ისტორია | 2 მ. — |
| თამარაშვილი მიხ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის | 2 მ. — |
| თაყაიშვილი ე. ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, ანუ ქართლის მოქცევისა | 20 ,, |
| — არხეოლოგ. მოგზ. და შენიშვ | 1 მ. — |
| — სამი ისტორიული ქრონიკა | 1 მ. — |
| იოსელიანი გ. ქართველი წმინდანები | 40 ,, |
| იოსელიანი პლ. ცხოვრება გიორგი XIII და საქართ. რუსეთთან შეერთება | 1 მ. — |
| ისარლოვი ლ. ქართველი კათოლიკენი საქართველოში | 10 ,, |
| იმერეთის ისტორია | 30 ,, |
| კარიჭაშვილი დ. წიგნის ისტორია | 20 ,, |
| — საქართ. მოკლე ისტორია | 40 ,, |
| — საქართველო მე-XII საუკ. | 40 ,, |
| — სვიმონ მეფე | 10 ,, |
| — როსტომ მეფე | 10 ,, |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

# ცინკოგრაფია
**წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ კლიშეების დამზადებას**
**საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასად.**
ტფილისი ვანქის დიდი ქუჩა, № 12, Тифлисъ Бол. Ванк. ул. № 12
1009

საკაჭრო და სამრეწველო სამინისტროს განკარგულების ქვეშ მყოფი
# ბუღალტერიის პრაქტიკული კურსები ი. თ. პალატნიკოვისა.
თხოვნების მიღება და მსმენელთა ჩაწერა ყოველ დღე დილის 10 ს. საღ. 8 ს.-დე. **მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.** კურსები იძლევიან საფუძვლიან და სრულ ცოდნას, ამზადებს საკანტორო-ბუღალტერიისა და კორესპონ. სამუშაოდ. კურსებზე შესულსაფუძვლიანად სწავლობს: 1) ა) ბუღჰალტ. ჩვეულებ და ორნაირს: იტალ., ფრანგ., გერმან., ამერიკ. და ახალ რუსულ (ყველა სისტემით პრაქტიკულ სამუშაო), ბ) თვლა-ანგარიში: საზოგ., სავაჭრ., ბანკ., ქარხ., სასოფლო-სამეურ., 2) კომერც. ანგარ., 3) ვაჭრობის უფლება, 4) ვექსილის უფლება, 5) კომერციულ კორესპ., 6) ანგარ. ჩოთქზე, 7) კალიგრაფია, 8) მუშაობ. შესწ. საწერ მანქანაზე, 9) რუსული ენა, 10) ანგარიში, 10) **უცხო ენები:** ფრანგ. და გერმან., 12) საკომერც. კორესპ. უცხო ენებზე. **რუსული ენა ანგარიში და საწერ მანქანებზე ბეჭდვის სწავლება უფასოა მსმენელთათვის.** მიმდინარე წელს კურსებზე სწავლობდა 182 კაცი, აქედან 3 საბუღჰალტ. **ჯგუფში იყო 144.** მასწავლებლებად არიან მოწვეულნი უმაღლესი განათლებით. სპეციალ. კურსების წესდება და პროგრამა უფასოა. 1430

# ექიმ ნაგასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**
**დილით:**
**„606" და „914"**
**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**
**ბ. ა. ნაგასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
**კ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
**საღამოთი:**
**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნაგასარდიანი.**
1004

# ფეხსაცმელები თომა დ ჯანუარაშვილის
**მაღაზია-სახელოსნოში,**
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი:
**საკუთარი და პეტერბ.**



მეხანიკური ნაწარმოები. 527

# მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
# მმ. ძმებელოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9
**ტელეფონი № 712.**

**ახალ-ახალი**
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
**ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა** (ქიტკა)
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, ჩიპა, ზურგიელები** და სხვა ყოველნაირი **თევზეულობა** და **კონსერვები.**

**მასწავლებელი**
# სიმ. ა. გრიაზნოვი
ამზადებს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიისა, რეალურ და კომერციული სასწავლებლის ყველა კლასისათვის, სამასწავლებლო ინსტიტუტში, მიწის მზომელთა და სამხედრო სასწავლებელში, სამასწავლებლო ხარისხზე. საფთიაქო შეგირდად და სხვა. იყვანს სრულს ხარჯზე.
ადრესი: ვერა, იზმაილოვის მისახვევი სახ. 6. ბინა 8. 584.

**ოქროს მედალი** **ოქროს მედალი**




# შ პ ა ლ ი ე რ ი
**მოსკოვის საქარხნო საწყობისა**
**ვლადიმერ ალპატოვისა**
GRAHD-PRIX
ო. მ. უნანიანცის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნო 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისათანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1393

**სარძევე „შვეიცარია" საკონდიტერო**
ლორის-მელიქოვის ქუჩიდან, № 6, გადავიდა გიორგიევის ქუჩაზე № 1, სახლი მირიმანოვისა, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ახლად და მშვენიერად განახლებულ სადგომში: **სანოვაგე ახალი, ხელმისაწდომ ფასად.**
მოგვდის ყველა გაზეთი. 621

**ქირავდება**
# სარდაფი
დავითისა და მეჯევის ქუჩა კუთხე. კითხვა შეიძლება იქვე მეჯევის ქუჩა, № 10. ზაალოვთან. 633

**სავაჭრო სახლების ბ. ა. ტერ-დავიდიანცისა**
# გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა
ნიკოლაევის ქ, 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

# სავაჭრო სახლი
# ღ. ა. ტერ-ბასპარიანცისა და ამხ.
# გადავიდა
**გოლოვინის პრ. № 23 სახ. მ. ო. არამიანცისა, „ბოიარსკაია გოსტინიცის" ქვეშ. ტელ. № 12—67.**
**სავაჭრო სახლს აქვს:**
აურებელი ელექტრონის არმატურები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ტერაკოტისა, ფაიფურისა და სხვა და სხვა ვაზები ყვავილებისა და ხილისთვის. ელექტრონის სამოვრები, საყავეები, საჩაიები, ტოლჩები, ქვაბები, ლორფინები, უთოები და სხვა. მშვენიერი სამელნეები, ბლოკ-ნოტები, ალბომები, ფოტოგრაფიულ სურათების ჩარჩოები, არშიები და ბევრი სხვა და სხვა ხელოვნური ნაწარმოები. ელექტრონის განათებისათვის საჭირო ნივთები, ელექტრონის ზარები და მათი მოსაწყობი. ნავთის ლამპები, სამზარეულოსთვის „სპირტოვკა" სხვა და სხვა სისტემისა. ელექტრონის შუშები საუკეთესო ფირმებისა, რომელიც 75 პროცენტ ეკონომიას იძლევიან. ფირმას გაჰყავს ელექტრონის მავთულები. ელექტრონის ძალის მრიცხველები, მუდმივისა და ცვალებადის ტოკისა.
**კარგი თვისების აუარებელი ხელის და ჯიბის ფარნები.**
**ყოველ დღე მოგვდის ელექტრონის არმატურები**
**ფასები შეუდარებლად.**
1488


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".